

შეფასების ელექტრონული სისტემით გამოცდების ჩატარების წესი

1. რეგულირების სფერო და მიზანი

- 1.1. ეს წესი არეგულირებს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრში შეფასების ელექტრონული სისტემით შუალედური, დასკვნითი და დამატებითი გამოცდების ჩატარების პროცესს და მისი მიზანია საგამოცდო პროცესის ობიექტურობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;
- 1.2. გამოცდის ელექტრონული ფორმით ჩატარების მიზანია სტუდენტის მიერ სასწავლო კურსის სილაბუსით განსაზღვრული სწავლის შედეგების - ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების მიღწევის შეფასება, რაც ერთი მხრივ, ემსახურება სწავლის შედეგებისა და მიღწევების გაუმჯობესობას, ხოლო მეორე მხრივ, უზრუნველყოფს საგამოცდო პროცესის ობიექტურობას, სამართლიანობას, გამჭვირვალობასა და შეფასების ოპერტიულობას;
- 1.3. სტუდენტისათვის სასწავლო კურსის დაწყებისთანავე ცნობილი უნდა იყოს თუ რა სახით ჩატარდება შუალედური და დასკვნითი გამოცდები, ასევე, გამოცდაზე დაშვების წინაპირობები;
- 1.4. გამოცდების ჩატარების პერიოდი განისაზღვრება თითოეულ სემესტრში რექტორის მიერ გამოცემული ბრძანების შესაბამისად;
- 1.5. სტუდენტისთვის გამოცდის ჩატარების თარიღი და დრო განისაზღვრება საგამოცდო ცენტრის მიერ შედგენილი განრიგით. საგამოცდო განრიგის საჯაროობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს სესიების დაწყებამდე არანაკლებ 10 დღით ადრე. გამოცდების განრიგი გადაეცემა თითოეული ფაკულტეტის დეკანატს გამოსაქვეყნებლად და ასევე განთავსდება საგამოცდო ცენტრის ინფორმაციული სისტემის ვებგვერდზე (testing.gtu.ge);
- 1.6. შეფასების ელექტრონული ფორმით გამოცდები ტარდება სტუ-ს კომპიუტერულ ცენტრებში: 1. კომპიუტერული ცენტრი N1(სტუ-ს I კორპ., VI სართ.) – 200 სამუშაო ადგილი; 2. კომპიუტერული ცენტრი N2(სტუ-ს I კორპ., I სართ.) – 280 სამუშაო ადგილი, 3. კომპიუტერული ცენტრი N3(სტუ-ს VIII კორპ. I სართ.) – 52 სამუშაო ადგილი);
- 1.7. საგამოცდო პროცესის ორგანიზებას და ჩატარებას უზრუნველყოფს საგამოცდო ცენტრი მოწვეული მეთვალყურეების დახმარებით;
- 1.8. გამოცდაზე დამკვირვებლად დასწრების უფლება აქვს უნივერსიტეტის და/ან ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძღვანელებს, დეკანებს, პროგრამის ხელმძღვანელებს. რექტორის სპეციალური ნებართვის საფუძველზე გამოცდაზე დასწრების უფლება შეიძლება მიენიჭოს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს;
- 1.9. შუალედური, დასკვნითი და დამატებითი გამოცდების ტესტური დავალებები, ტესტის სტრუქტურა და საგამოცდო პროცესის ხანგრძლივობა განისაზღვრება შესაბამისი საგნობრივი კომისიის მიერ.

2. გამოცდაზე სტუდენტის ქცევის წესები

- 2.1 სტუდენტი ვალდებულია გამოცდაზე გამოცხადდეს განრიგში მითითებულ დროს, თან იქონიოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და გაიაროს რეგისტრაცია;
- 2.2 რეგისტრაციის დროს სტუდენტს გადაეცემა სარეგისტრაციო ბარათი, რომელშიც მითითებული იქნება სამუშაო ადგილის ნომერი, სისტემაში შესასვლელი მომხმარებლის სახელი და პაროლი;
- 2.3 ტესტირების პროცესის დაწყების შემდეგ დაგვიანებული სტუდენტი მიმდინარე სესიაზე არ დაიშვება;
- 2.4 სტუდენტები, რომლებიც წარმოადგენენ დეკანის მიერ გაცემულ ნებართვას (საპატიო მიზეზით დაგვიანების, წინასწარ ჩაბარების, ავადმყოფობის და სხვა საპატიო მიზეზების გამო) თავისუფალი სამუშაო ადგილის არსებობის შემთხვევაში დაიშვება სხვა სესიაზე რეგისტრაციის დასრულებამდე, ბოლო 5 წუთის განმავლობაში;
- 2.5 სტუდენტი ვალდებულია საგამოცდო დარბაზში შესვლამდე გამორთოს მობილური ტელეფონი, ფოტო-ვიდეო კამერა ან/და სხვა ელექტრონული მოწყობილობები;
- 2.6 სტუდენტს სამუშაო მაგიდაზე უნდა ედოს პირადობის მოწმობა, საწერი კალამი და საგამოცდო ცენტრის მიერ გადაცემული სამუშაო ფურცელი; გამოცდის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია დამხმარე მასალის გამოყენება (მაგალითად, მენდელეევის პერიოდული სისტემა და სხვა), რომელიც მას გადაეცემა საგამოცდო ცენტრის მიერ;
- 2.7 აკრძალულია გამოცდის პროცესის დროს საუბარი, ერთმანეთთან გადალაპარაკება, ხმაური, სხვა პირის დახმარება ან/და დახმარების მიღების მცდელობა და სხვა სტუდენტის ეთიკის კოდექსით დადგენილი წესების დარღვევა;
- 2.8 საგამოცდო წესების დარღვევის შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა გაფრთხილება, დარღვევის განმეორების შემთხვევაში სტუდენტი მოიხსნება გამოცდიდან და იგი შეფასდება 0 ქულით;
- 2.9 **უხეში დარღვევები, რომლის დროსაც სტუდენტი გაფრთხილების გარეშე მოიხსნება გამოცდიდან:** ა) დამხმარე მასალის, ე.წ. „შპარგალკის“ და/ან ჩართული მობილური ტელეფონის აღმოჩენისას;
ბ) სხვის მაგივრად (ნაცვლად) საგამოცდო პროცესში მონაწილეობის აღმოჩენისას;
გ) ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის ან საგამოცდო პროცესში მონაწილე პირის შეურაცხყოფისათვის;
დ) ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ ყოფნის შემთხვევაში.
- 2.10 გამოცდაზე სტუდენტის ქცევის წესები ცხადდება ყოველი გამოცდის დაწყების წინ (რეგისტრაციის პროცესში) და ასევე განთავსებულია საგამოცდო ცენტრის ინფორმაციული სისტემის ვებგვერდზე (testing.gtu.ge);

3. გამოცდების (ტესტირების) შედეგების გაცნობა და აპელაცია

- 3.1. ტესტირების დასრულებისთანავე შეფასების შედეგი აისახება სტუდენტის მონიტორზე და ელექტრონულ სისტემის მონაცემთა ბაზაში. ასევე ეს შედეგი online რეჟიმში გადაეცემა სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის სისტემას;

- 3.2. საგამოცდო პროცესის მიმდინარეობისას ტექნიკური შეფერხების შემთხვევაში სტუდენტმა ხელის აწევით უნდა მიმართოს მეთვალყურეს, რომელიც სტუდენტს დაეხმარება (ან თვითონ, ან ტექნიკური სამსახურის თანამშრომლის მეშვეობით) ხარვეზის აღმოფხვრაში. ტექნიკური შეფერხება აღირიცხება შესაბამისი სექტორის უწყისში მეთვალყურის მიერ. თუ ტექნიკური შეფერხება იმოქმედებს სტუდენტის შედეგზე მან მაშინვე უნდა განაცხადოს და პასუხისმგებელი პირის მიერ დადასტურების შემთხვევაში, სტუდენტს უფლება მიეცემა თავიდან შეასრულოს ტესტი იმავე ან მისთვის ხელსაყრელ სესიაზე;
- 3.3. თუ სტუდენტი აკადემიური მოსწრების მონიტორინგის სისტემაში აღმოაჩენს გამოცდის შეფასების უზუსტობას (შეცდომას), მან დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს აღნიშნულის შესახებ საგამოცდო ცენტრს. ტექნიკური ხარვეზის არსებობის შემთხვევაში ცენტრი უზრუნველყოფს სისტემაში ქულის ასახვას, არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა;
- 3.4. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი მიიჩნევს, რომ ტესტური დავალება არაკორექტულია, გამოცდის დასრულების შემდეგ შეუძლია შეავსოს სააპელაციო განაცხადი. სტუდენტს ასევე შეუძლია საგამოცდო პერიოდის დასრულების შემდეგ 5 სამუშაო დღის განმავლობაში (თუ ეს ვადა, გამოცდის თავისებურებიდან გამომდინარე, სპეციალურად არაა რეგლამენტირებული) მიმართოს საგამოცდო ცენტრს (სტუ-ს VI კორპუსი, 411ა ოთახი), ნახოს მის მიერ შესრულებული ტესტი და სურვილის შემთხვევაში შეავსოს სააპელაციო განაცხადი, კონკრეტული ტესტური დავალების მითითებით;
- 3.5. ცენტრი უზრუნველყოფს შესაბამისი კურსის სააპელაციო კომისიის მიერ განაცხადის განხილვას და შესაბამისი შედეგის ასახვას აკადემიური მოსწრების მონიტორინგის სისტემაში. სააპელაციო კომისიის ხელმოწერილი დასკვნა ინახება საგამოცდო ცენტრში.